ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7713667

ნომერი: AR11117403

თარიღი : 17.11.2025

გაცემის თარიღი : 24.11.2025

გაცნობის თარიღი : 25.11.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, როსტომ აბრამიშვილის IV შესახვევი, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვიაჩესლავ კუშნირენკო პ/ნ 01013003442
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 1, ბინა 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 17 ნოემბერს №AR11117403 განცხადებით მომართა ვიაჩესლავ კუშნირენკო და მოითხოვა ამავე სამსახურის 2025 წლის 24

თებერვლის №7390433 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანებით, №01.19.14.004.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა საწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, შეთანხმებულ ბრძანებასა და მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკში დაფიქსირებული II რიგის სამუშაოების მეოთხე ეტაპი შეუსაბამოა ერთმანეთთან. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და ბრძანების, შეთანხმებულ მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკთან შესაბამისობაში მოყვანა.
სამსახურმა, შეთანხმებული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის მიხედვით II რიგის სამუშაოების მეოთხე ეტაპია „საძირკვლის მოწყობა; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0.00 ნიშნულამდე“. თუმცა, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მეოთხე პუნქტში II რიგის სამუშაოების მეოთხე ეტაპი არასწორად არის დაფიქსირებული. შესაბამისად, შესაძლებელია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება და შეთანხმებული ბრძანებისა და მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკის ურთიერთშესაბამისობაში მოყვანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში II რიგის სამუშაოების მეოთხე ეტაპი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით : „4) საძირკვლის მოწყობა; ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0.00 ნიშნულამდე“.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 24 თებერვლის №7390433 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.